ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5905172

ნომერი: AR1892893

თარიღი : 13.04.2022

გაცემის თარიღი : 19.04.2022

გაცნობის თარიღი : 19.04.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქ. წამებულის გამზირი , მეტროსადგური "ავლაბარი";

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- III კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მეტროს ზედა ვესტიბული-პავილიონი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ოთარ სულაბერიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს არტსტუდიო პროექტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204489393

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი 13; 14.04.2022წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე, მეტროსადგურის "ავლაბარი" ზედა ვესტიბულის-პავილიონის ინტერიერისა და ექსტერიერის რეკონსტრუქციის ესკიზის წინასწარ შეთანხმების საკითხს.
გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილებით განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ მსჯელობის უფლებამოსილება მიკუთვნებული აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. გამომდინარე იქედან, რომ თქვენს მიერ საპროექტოდ გათვალისწინებული ობიექტი თავისი ფუნქციით წარმოადგენს მეტროპოლიტენს და მიეკუთვნება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სანსახური მოკლებული შესაძლებლობას იმსჯელოს მეტროპოლიტენის ვესტიბიულის (პავილიონის) ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებით.
გამომდინარე აქედან საჭიროა რომ საკითხი სრულყოფილად განხილვის მიზნით წარადგინოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.